

საქართველო

საერთო უკრაინული გაზეთი

შაბათი 17 ნოემბერი 2001 №221 (1494)

ფასი 50 თეთრი



ლიპარტიელიანი 50:37 ქორქია



ქართული კალათბურთი ლიპარტიელიანს ჩაბარდა პატარების დირექტორი დიდაბის პრეზიდენტი გახდა

გუშინ ქართული კალათბურთი უმნიშვნელოვანესი არჩევანის წინაშე იდგა: კალათბურთის ფედერაცია ახალი პრეზიდენტისთვის უნდა ჩაეხარებინა. კაცისთვის, რომელიც ქართული კალათბურთის კრიზისიდან გამოყვანის და გაჩანაგებულის საკალათბურთო მეურნეობის ფეხზე წამოყენების უპირველეს გარანტიად უნდა იქცეს.

საპრეზიდენტო არჩევნებში კენჭს ორი კანდიდატი იყრიდა — წარსულის დიდი მოთამაშე, ოლიმპიური ჩემპიონი მიხეილ ქორქია და ბავშვთა საკალათბურთო აკადემიის დირექტორი, ეროვნული ნაკრების ყოფილი მთავარი მწვრთნელი ბესიკ ლიპარტიელიანი.

ხუთსაათიანი სხდომის შემდეგ საქართველოს კალათბურთის ფედერაციის ყრილობამ 50 ხმით 37-ის წინააღმდეგ არჩევანი ლიპარტიელიანის სასარგებლოდ გააკეთა.

ბესიკ ლიპარტიელიანი ოთხი წლით საქართველოს კალათბურთის ფედერაციის რიგით მეოთხე პრეზიდენტია!

იხილეთ მეთერთმეტე გვერდი



ბესიკ ლიპარტიელიანი: პირველი ინტერვიუ პრეზიდენტის რანგში

ღირსების ორდენი კაცების ორდენს

ქართველმა მოკაბეებმა პილდის ოს, რას საქართველოს პილდის

ხვალ საქართველოს მორაგბეთა ნაკრებს დიდი მატჩი ელის. ბორჯღალოსნებს მსოფლიოს რაგბის სამ ბუმბერაზთაგან ერთ-ერთის, სამხრეთ აფრიკის „ა“ ნაკრები დაუპირისპირდება და სერიოზულ გამოცდას მოუწყობს. ეს შეხვედრა იქნება იმ საქმის ერთგვარი შეჯამება, რაც საქართველოს უპირველეს და ყველაზე ღირსეულ გუნდს აქამდე უკეთებია.

საქართველოს ხელისუფლებამ კი, მართალია, დაგვიანებით, მაგრამ მაინც შეაჯამა ბორჯღალოსანთა ნამოქმედარი და წლევანდელი ევროპის ერთა თასის მომგებ მორაგბეებს სამთავრობო ჯილდოები ჩამოურიგა. გუშინ მეკლედ მთიულთიშვილი, ზურაბ მჭედლიშვილი, ვანო ნადირაძე, ლევან ცაბაძე და მათი ფრანგი მწვრთნელი ჯლოდ სორელი ღირსების ორდენოსნები გახდნენ. ოცდაოთხ მოთამაშეს კი ღირსების მედალი გადაეცა.

იხილეთ მეთხუთმეტე გვერდი



საქართველოს მორაგბეთა ნაკრების მწვრთნელი ჯლოდ სორელი ღირსების ორდენით, ქვეყნის პრეზიდენტის ბრძანებულებით და წვრილით

გურამ დეოდანავაშვილი ფოტო

ბაიანი კატილაძის ფოტო

Georgian star has given Gers a Shota in the arm

ქართველმა ვარსკვლავმა „ჩაფრებს“ იარაღი უბოძა — შოთა. ქართულად დაახლოებით ასე ითარგმნება ნერილის სათაური, რომელიც „გლაზგო რინჯერსის“ ყოველკვირეული ჟურნალის ერთ-ერთ ბოლო ნომერში გამოქვეყნდა. მისი ავტორი მარკ ჰეიტლი გახლავთ. „გლაზგო რინჯერსის“ ყოფილი თავდამსხმელი და 1986 წლის მექსიკის მსოფლიოს ჩემპი-



შოთა არველაძის თამაში ორჯერ მქონდა ნანახი, როცა მივხვდი, რომ ის ყველაზე უფრო ჰგავს შეტევაში „რინჯერსში“ ჩემს მეწყვილე ალი მაკოსტისს. ქართველმა „რინჯერსში“ თავის საღებულო მატჩში „ერდრის“ წინააღმდეგ სუპერსაგოლე დარტყმა შეასრულა, მისი გოლები კი კარგად ჩატყრილ საცობს თუ მაგრად მოტყრილ ქანს წაგავს. ეს იგივეა, რაც ალი მაკოსტისის შემთხვევაში და ვერც კი დავითვლი იმას, თუ რამდენჯერ უტყვამს ხალხს ეს ფრაზა: „ბურთი უბრალოდ თავისით ეკვრის მას“.

მე შემიძლია დაგარწმუნოთ, რომ „ალისტარი“ საზღვრავდა ხოლმე, სად უნდა გაგორებულიყო ბურთი და ბეჯითადაც ირჯებოდა, რათა დაზღვეული ყოფილიყო, სწორი პოზიცია შეერჩია ბადის ასაფართოებლად. ლეგენდარული მეგობრები, პაოლო როსი და გერდ მიულერი იგივეს აკეთებდნენ და არც შოთაა მათგან განსხვავებული.

არველაძე ბასრ სამართლებელს ჰგავს და მან ყოველთვის იცის, რა არის მოსალოდნელი მოედნის სიღრმეში. ამიტომაცაა, გოლები რომ გააქვს. ეს მნიშვნელოვანი ფაქტორია ფორვარდისთვის.


„რინჯერსის“ ახალშენაძენი მალე იგონობს დიდ სიმძიმეს, რომელიც მას მხრებზე დააწვება. საღებულო მატჩი „ერდრისთან“ კი იდეალური იყო შოთა არველაძისთვის — მას ნავის გატეხვა აღარ მოუწევს, რამაც თავდაჯერებულობა უნდა შეესძინოს. თავის დროზე მე გარკვეული პერიოდი დამჭირდა „აი-ბროქსზე“ დასამკვიდრებლად — ამას სეზონის ნახევარი მოვუწიე. სხვა კლუბებში კი პირველივე მატჩებში გამჭირდა გოლები, რაც დიდი შეღავათია ფორვარდისთვის.

მაგრამ, არველაძეს მხოლოდ გოლები კი არ გააქვს, არამედ შავ სამუშაოსაც ასრულებს. საჯარიმო მოედნის გარეთაც ყოჩაღად მოქმედებს და საგოლე გადაცემებზეც ეხერხება.

დიკ ადვოკატმა თქვა, არველაძის გადაბირება 2 მილიონ გირვანქაზე ორჯერ ძვირიც რომ დაგვეჯდომოდა, მაინც უნდა დაგვეყვავა ფული, რადგან მას სეზონში 30 გოლის გატანა შეუძლია.

შოთა ძალიან იყო საჭირო „რინჯერსისთვის“ და ამან ადვოკატს თავსატეხი გაუჩინა ფორვარდების სელექციის მხრივ. თუმც მისხელ მოლსი, ტორე ანდრე ფლო, რონალდ დე ბური და კლაუდიო კანიჯა კმაყოფილები არიან.

მე ასეთ გადაწყვეტილებას მივიღებ-



შოთა არველაძემ (მარცხნივ) შოტლანდიაში მეგოლის სახელი დაიგლო.

დი — წინ ორი ფორვარდი, მესამე მათ უკან. ადვოკატმა კი ძალიან გაგვაოცა, როცა სამი ფორვარდით ათამაშა გუნდი.

არველაძემ ადვოკატს გონების მორიგი სავარჯიშოც უბოძა. თუ თქვენ აქამდე „რინჯერსის“ მეგოლებს დააკვირდებით, ისინი უბეტესწილად ერთმანეთის მსგავსნი იყვნენ. მათ უწინაც და ახლაც მეტოქის კარისკენ მცველების წინ ზურვით მდგომებს ხელეწინებთ თამაში, გამონაკლისი მხოლოდ კანიჯა გახლავთ. მაგრამ გუნდს ზომ დაბალანსება სჭირდება და ეს არველაძემ შეძლო, რადგან მას მეტოქე მცველებს უკან შეუძლია სიბრძოლი.



მონაკო — მარსელი. მასპინძელი შაბანი ნონდა სტუმართა მეკარე ვედრან რუნეის გადაახტა

მოქუაშვილი ქუთაისს ვერ აღაფა

ბოლო ხანს რევან მოქუაშვილის ქუთაისის „ტორპედოდან“ წასვლაზე და რუსეთის უმაღლესი ლიგის ერთ-ერთ გუნდში გადასვლაზე ხშირად ლაპარაკობდნენ. გუნდში ამის თაობაზე თავად რევან მოქუაშვილს შევეხებინათ: — ჭორებია. არსად წასვლას არ ვაპირებ, „ტორპედოსთან“ კონტრაქტი მაკავშირებს და გამორიცხულია, ყოველ შემთხვევაში, სეზონის ბოლომდე მაინც სხვა გუნდი გავწვრთნა. სხვადასხვა ქვეყნებიდან კი შემეხმებინენ, მაგრამ არაფერზე დავთანხმებულვარ. მე დღესდღეობით „ტორპედოში“ ვმუშაობ და ქვეყნის ჩემპიონობას ვუძინებ. გუნდშიც არაფერია ახალი. ევ იყო, პოროშინს ლეოვის „კარპატის“ წარმომადგენლები აკვირდებოდნენ, მაგრამ საქმე ადგილიდან აღარ დაძრულა, უკრაინელი ისევ „ტორპედოში“ დარჩება. ჩემპიონატის პირველი ეტაპის დასრულებამდე გუნდში არანაირი ცვლილება არ არის მოსალოდნელი — გვეთხრა რე-



ვაზ მოქუაშვილმა, რომლის გუნდიც დღეს საქართველოს ჩემპიონატის მეთექვსმეტე ტურის მატჩში რუსეთის „გორდას“ უმასპინძლებს.

გერმანია
ემორე ბუნდესლიგა
XIII ტური
ალბანია 2:1 ვიურტი
ჰანოვერი 0:0 ზაარბრიუჰენი
პარლერუე 4:1 უნიონი
ჩრდილოეთ რეგიონალლიგა
XVII ტური
იურდინგენი 0:0 ბილინი
გაგდუარაი 3:1 პადერბორნი
ესანი 1:2 მიუნსტერი
საახრეთ რეგიონალლიგა
XVIII ტური
ტიპარსი 1:2 ვაიანი

პოლანდია
პირველი დივიზიონი
XIII ტური
პარიევენი 3:1 საარტა
ემორე დივიზიონი
XIV ტური
ვენლო 3:1 დორდინი
თინდოვიანი 3:4 ვიანოვიანი
ბესალსიონი 4:0 იბანი
ჯეოლე 5:1 რსი

პოლონეთი
პირველი დივიზიონი
I ტური
ლეზია 0:0 კატოვიცი
რუსი 3:1 პოლონია

საფრანგეთი
პირველი დივიზიონი XIV ტური
მიანაო 0:0 მარსალი

იტალია
სერია B. XIII ტური
ჩიტადია 0:1 პარი

პორტუგალია
თასის IV ეტაპი
პოპოზა 3:0 დე(მა) ლირია

თურქეთი
XII ტური
ანთალია 0:0 ბიზინთაზი

ინგლისი
ასოციაციის თასი. I ეტაპი
პიისი 3:4 უიკოვი

გელგია
თასის 1/16 ფინალი
პეირსსოტი 4:3 დე(3:3) ბანტი

ფირმების რეგისტრაცია
ოფორიული კომპანიები
რუსეთის ვიზები
მისამართი:
„პირიშა“ ემორე სართული
ბელაფონი: 93-52-34, 877 42-20-59

საინტერესო ფოტო

ამ ფოტოზე თქვენ ხედავთ ტელევიზორს, რომლის ეკრანზეც ფეხბურთია: ირანი — ირლანდია 1:0. ირანელებმა მოიგეს, მაგრამ ირლანდიაში 0:2 პუნდით წაგებული და მსოფლიოს ჩემპიონატზე ვერ მოხვდნენ. კიდევ, ამ ფოტოზე თქვენ ხედავთ გულშემატკივრებს, რომელთაც ცენტრალური ფიგურა ქალია. ფოტო თეირანშია გადაღებული, ქალიც ირანელია და სწორედ ესაა საქმე, თორემ ფოტო რომ დუბლინში იყოს გადაღებული, ქალი თუგინდ შიშველი იყოს და ყურების ადგილას ფეხები ებას...



REUTERS თეირანიდან



REUTERS პოუსტონიდან

ბაინს მობილო


ის აპლაკული მეკარე კერტის ჯონსონია. ის „ტორონტოს“ კარს იცავს და უნდა ითქვას, რომ თავისი საქმის დიდი ოსტატი, თუმცა ამის დასტურად ეს ფოტო, ვაგლახ, არ გამოდგება. აქ სწორედ ის მომენტია ასახული, როდესაც მან „ტამპა ბეის“ მთამაშის, ვენსან ლეკაფალიეს დარტყმული გაუშვა. და მაინც, „ტორონტომ“ მოიგო 3:2.



REUTERS ტამპა

ლას ვეგასის სასწრაფო


ლას ვეგასში დღეს დიდი ცხვირ-პირის ნაცვია. მძიმე წონაში მსოფლიოს უდავო ჩემპიონის ტიტულს ან მარცხენა გოლიათი, ამერიკელი ჰასიმ რაჰმანი დაიტოვებს ან მარჯვენა, ბრიტანელი ლენოქს ლუისი დაიბრუნებს, ხოლო შუაში რომ გაწეწილი კაცი დგას, ის პრომოუტერი დონ კინგია, რომელიც მილიონებს ჩაიჯიბავს. რაჰმანს და ლუისს ერთმანეთი ისე სძულით, რომ აწონვან, როგორც ხედავთ, მათ სასწორებს შორის შუშის ტიხარი აღმართეს.



REUTERS ლას ვეგასიდან

მონქარეს მოუგვიანდესო

თავიდანვე ვიტყვით, რომ ამ თეთრ ფორმებში გამოიწყობილ აფრიკელი წარმოშობის მაღალ ამერიკელებს ტყუილად უხარიათ. „ჰიუსტონმა“ „ლოს ანჯელეს ლეიკერსთან“ საბოლოოდ თვერტაიმში, რაც ქართულად დამატებით დროს ნიშნავს, შეაგო წაავთ 97:96 თუმცა, იმ მომენტში, როდესაც „ჰიუსტონმა“ შესამე პერიოდის ბოლო წამებზე ბურთი კალათში ჩააგდო და კუტინო მთელი სტივ ფრენსისს შემოახტა, მათ ეგონათ, რომ მოიგებდნენ.



REUTERS დუბაიდან

მოჰამადი

მიც გუშინდელი „სარბიელის“ ბოლო გვერდი ნახა, ესთმება დუბაის საერთაშორისო რადის ამსახველი ფოტო, სადაც მისი გამარჯვებული მოჰამედ ბენ სულაიმი მანქანაში იჯდა. აი, მანქანიდან გადმოსული როგორია.

სარბიელი
საორტული გაჯეტი

გამოცემა 1990 წლის
28 დეკემბრიდან

გამოდის საგზაბათს,
ოთხშაბათს, ხუთშაბათს,
პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ჯორჯაძე
დირექტორი გიორგი მჭედია
რედაქტორი თამაზ მიხრიალი
ტექნიკური რედაქტორი პასტანა ბუჩიკაძე
ფეხბურთის რედაქტორი სოსო კობორიძე
კალათბურთის და ინფორმაციის რედაქტორი მერაბ რატიშვილი
ფეხბურთის რედაქტორი სოლომონ გულიასვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაძე, დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი

კალათბურთის და ინფორმაციის რედაქტორი გია ახალაძე, გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, დავით გულუა, ავთანდილ გურასაშვილი, ირაკლი ფირაშვილი
კორესპონდენტი ქუთაისში თეზა კაციტაძე
ფოტორეპორტორები გურამ დოღონაშვილი, ბადრი კვიციანი
სტილისტები მათა აბაშიძე, ნათელა გორგოზიანი, დავით გოზალიაშვილი
კომპიუტერული ცენტრი ლია ბესელია, ელენე გელუტაშვილი, თამაზ გოგუბაშვილი, მამუკა გუბელაძე, სვეტა დეგაძე, მაგდა ლოგარაშვილი, კახა თაღლაკაძე, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, ნინო ყუყუნია, მალხაზ ჭუმბურიძე
გამომცემი ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო № 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული მისამართი http://www.sarbieli.com.ge